

ენერგეტიკას სასწრაფო რეფორმირება ესაჭიროება

ენერგეტიკულ ტარიფებსა თუ ჰესების გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული დებატების ფონზე ჩვენში ნაკლები ყურადღება ექცევა საკუთრივ ენერგეტიკის მდგომარეობას და ამ დარში წლების განმავლობაში დაგროვილ ძირეულ სისტემურ პრობლემებს. არადა მათი დაძლევის გარეშე ენერგეტიკა ვერ შეასრულებს თავის ძირითად ამოცანებს, რომ ოპტიმალურ ფასად და გარემოს მინიმალური დაზიანებით უწყვეტად მოამარაგოს ენერგიით მოსახლეობა და ეკონომიკა; შექმნას სამუშაო ადგილები და საექსპორტო პროდუქტი; გარე პოლიტიკური ზეგავლენებისგან დაიცვას ქვეყანა როგორც მოკლე ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში; ხელი შეუწყოს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს; მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და უზრუნველყოს ენერგეტიკული სტრატეგიის დერეფნის საიმედოობა. ამ საკითხებში წარუმატებლობა კი საფრთხეებს შეიცავს როგორც სახელმწიფოებრიობის ასევე მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის. მდგომარეობის გამოსწორება ენერგეტიკის პრობლემების გააზრებასა და საფუძვლიანი რეფორმის დაწყებას მოითხოვს.

1. ენერგეტიკული პოლიტიკა და სტრატეგია

ქვეყანას დღემდე არა აქვს საფუძვლიანი ენერგეტიკული პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს დარგის მთავარ ორიენტირებს, მისაღებ რისკებს, პრიორიტეტებს, კონკრეტულ ამოცანებს და მათ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საერთაშორისო მოლაპარაკების სხვა მონაწილეებს შეიძლება მაღალი კვალიფიკაციის კვლევითი ცენტრების მიერ დამუშავებული სტრატეგიები უმაგრებდეს ზურგს, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს, როგორც წესი, დასაბუთებული გათვლები და დამუშავებული სცენარები არ ამძიმებთ. ასეთ პირობებში გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ პირად ინტუიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით და ძნელია მათი მართებულობის შეფასება. ეს კი წარმოშობს ცდუნებას, რომ ნებისმიერი, თუნდაც მცდარი და წარუმატებელი ნაბიჯი, წარმატებულად გასაღდეს, იმის მაგივრად, რომ მის გამოსწორებაზე დაიწყოს მუშაობა.

ენერგეტიკული სტრატეგიის არქონა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგნოზების არქონას დაბრალდეს. ეს უფრო ღრმა სისტემური პრობლემაა. ენერგეტიკულ სტრატეგიასთან ერთად, ასევე გვაკლია სხვა აუცილებელი ინსტრუმენტები და კონცეფციები. მათ შორის:

- 2001 წლის შემდეგ არ დგება ოფიციალური ენერგეტიკული ბალანსი ანუ არ გვაქვს ქვეყნის ენერგეტიკული სურათი. ბევრმა არც იცის, რომ ქვეყნის ენერგომომარაგება 60-65%-ით იმპორტზეა დამოკიდებული და ეს დამოკიდებულება იზრდება; შიდა ენერგეტიკული რესურსებში კი შემას უმნიშვნელოვანესი - ჰიდროენერჯის შესაძარი -

წილი აქვს. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება რეალური ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვა.

- არ ხდება დაგეგმვა, ამიტომ უცნობია, თუ რა რაოდენობის ელექტროენერგია და გაზი დასჭირდება ქვეყანას და რა დარჩება საექსპორტოდ, რომელი სადგურებია უფრო მიზანშეწონილი და როგორი ფასებია მოსალოდნელი.
- ჰიდროენერგეტიკის განვითარება მიმდინარეობს ისე, რომ არ არის შეფასებული მისი ენერგეტიკული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სარგებელი ქვეყნისათვის. შესაბამისად, ძნელია შეთანხმება გარემოსდამცველებსა და ჰიდრომშენებლებს შორის, რამაც საბოლოოდ შეიძლება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი უსაფრთხოების რისკები წარმოშვას. განსაკუთრებით უახლოეს წლებში მოსალოდნელი ელექტროენერჯის დეფიციტის გამო;
- არ არის ჩამოყალიბებული რეგიონული ენერგეტიკული თანამშრომლობის სტრატეგია. ელექტროენერგეტიკულ კვანძად ჩამოყალიბების ხმამაღალი განცხადებები ჯერჯერობით მხოლოდ სურვილების დონეზე რჩება.
- დღემდე არ არის დადგენილი თურქეთთან დამაკავშირებელი შავი ზღვის გადამცემი ხაზის ტარიფი, მასზე დაშვების და ვაჭრობის წესები. არ ვიცით რა მოცულობის ენერჯის გატარება მოხდება და რაც მთავარია, შეუსწავლელია თურქეთის ბაზრის მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ელექტროენერჯის ბაზარზე და მისი დაცვის ზომები;
- რთულდება ენერგეტიკული მოლაპარაკებები ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებასა და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობაზე ვინაიდან არ არის სათანადოდ გაანალიზებული ევროინტეგრაციის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებები.

2. საკანონმდებლო გარემო

ენერგეტიკის მდგომარეობას ამძიმებს გაუმართავი ენერგეტიკული კანონმდებლობა:

ენერგეტიკის რეფორმის შედეგად 2000-იანი წლების დასაწყისისათვის ჩამოყალიბებულ, მეტნაკლებად გამართულ ენერგეტიკულ კანონმდებლობაში, შემდგომ ეტაპზე მრავალი კონცეპტუალურად არასწორი ერთჯერადი ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა წინააღმდეგობრივი და არაქმედითი ბუნდოვანი ენერგეტიკული კანონმდებლობა, რომელიც იძლევა განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალებას, და ამით წარმოშობს პოლიტიკური ზეგავლენების და კორუფციის საშიშროებას. დაუმუშავებელია მთელი რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტებისა, რის გამოც სექტორის გამართული მუშაობისათვის აუცილებელი მრავალი საკითხი საერთოდ დაურეგულირებელია.

არ გვაქვს ერთიანი ენერგეტიკული კანონი, რომელიც ენერჯის ყველა სახეს მოიცავს. ნახშირის რესურსები და ნავთობპროდუქტები, ასევე განახლებადი რესურსები და ენერჯის დაზოგვა საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობის გარეთ არის დარჩენილი.

რეგიონში საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მიღებული ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონები, რაც ჩვენს ჩამორჩენილობაზე

უფრო მეტყველებს, ვიდრე რაიმე ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მართლაც, ეს მიმართულება დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებთან, განვითარებულ კვლევა-დანერგვის, კომერციულ და საბანკო სისტემებთან. მისი ამოქმედება მოითხოვს მაღალ ენერგეტიკულ ცნობიერებას და დახვეწილ ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმებს, რაც მაღალგანვითარებული საზოგადოების მახასიათებელია. ეს არის ევროპასთან ენერგეტიკული თანამშრომლობის ერთერთი აუცილებელი ელემენტი და მასზე უარის თქმა განვითარებაზე და საერთაშორისო ტექნოლოგიურ თუ ფინანსურ დახმარებაზე უარის თქმის ტოლფასია. რაც მთავარია, აუთვისებელი რჩება ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის მნიშვნელოვანი შიდა რესურსი, რითაც ვზრდით ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულებას და შესაბამის ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს.

3. ენერგეტიკული ბაზარი,

იმის ნაცვლად, რომ ბაზარი კონკურენციას და ფასების შემცირებას უწყობდეს ხელს, იგი დაყოფილია რამდენიმე ვერტიკალურად სეგმენტად, სადაც მონოპოლისტი კომპანიები მოქმედებენ. ენერჯო-პრო და რაო ეესი ეწევან როგორც გენერაციის, ასევე განაწილების, მიწოდების და ნაწილობრივ გადაცემის საქმიანობას, სოკარი კი ერთდროულად ქსელების მფლობელი და გაზის მიმწოდებელია. მათთან დადებული საკამათო ხასიათის შეთანხმებები და შემორანდუმები 2025-2030 წლამდე მოქმედებს და ზღუდავს მათი რეგულირების საშუალებას. ამ დაუბალანსებელი შეთანხმებების საფუძველზე, სავარაუდოდ ამ კომპანიებს უკვე მიღებული აქვთ მნიშვნელოვანი ზემოგება.

ბაზარზე არ მოქმედებს ფასების შემცირებისა და ეფექტიანობის ზრდის არც ერთი ცივილიზებული მექანიზმი, არც კონკურენცია და არც რეგულირება. ბაზრის ასეთი სტრუქტურა ზღუდავს განვითარებას, სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლებას, ეწინააღმდეგება ევროპულ ენერგეტიკულ კანონმდებლობას და დუყოვნებლივ გადასინჯვას საჭიროებს.

4. მართვის სტილი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სექტორი დაუბრუნდა **მართვის ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციულ მოდელს** და პრაქტიკულად მთლიანად ემორჩილება სამინისტროს, რომელმაც შეითავსა როგორც პოლიტიკური, ასევე მარეგულირებელი, ოპერატიული და მფლობელობის ფუნქციები. განვითარებულ ქვეყნებში მარეგულირებელი კომისიები ყველაზე მაღალპროფესიული დამოუკიდებელი ორგანიზაციებია, რომელთა გამართული მუშაობაც ინვესტორებისათვის სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. ჩვენთან სემეკის, ისევე როგორც ნავთობისა და გაზის სააგენტოს ფუნქციები, და დამოუკიდებლობა დაკნინებულია, კვალიფიკაცია დაკარგული. ამის მაჩვენებელია სემეკის შეუსაბამო კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტებაც.

ბოლო წლებში ენერგეტიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა **გამჭვირვალობა** და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობა, რაც სუბიექტივიზმის, გარე ზეგავლენების და კორუფციის საშიშროებას ზრდის. მაგალითად, აღარ არის ხელმისაწვდომი გამანაწილებელი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება, რაც ადრე საჯარო ინფორმაცია იყო. უცნობია მსხვილ ენერგოკომპანიებთან დადებული შეთანხმებების და მემორანდუმების პირობები, რაც სავარაუდოდ გავლენას ახდენს ქვეყნის ყველა მოქალაქეზე და შესაბამისად დაფარული არ უნდა იყოს.

ენერგეტიკის მართვის ეს მეთოდები პოსტსაბჭოურ ავტორიტარულ სისტემას უფრო შეესაბამება, ვიდრე დასავლურს. ძალაუფლების ასეთი კონცენტრაცია განსაკუთრებით საშიშია არასრულყოფილი კანონმდებლობის, საზოგადოებრივი კონტროლის და სტრატეგიის არარსებობის პირობებში, როდესაც სექტორში დომინირებენ მეზობელი ქვეყნების მსხვილი სახელმწიფო ენერგოკომპანიები, რომელთა ინტერესები ბევრად უფრო ფართოა ვიდრე საქართველოში წარმატებული ენერგეტიკული საქმიანობით მოგების მიღება.

5. პროფესიული და ინსტიტუციური განვითარება

არასაკმარისი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევა-დანერგვის სამუშაოებს, რის გამოც რთულდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და კვალიფიციური კადრების მომზადება. ცენტრალიზებული ადმინისტრაციული მმართველობის პირობებში არ ხდებოდა ინსტიტუციური განვითარება და გამოცდილების დაგროვება.

როგორც ვხედავთ, შექმნილია მდგომარეობა, როდესაც დაგროვილი პრობლემების ფონზე: სტრატეგიული ხედვების, ხარისხიანი კანონმდებლობის, კონკურენტული ბაზრის, გამჭვირვალობის, ძლიერი მარეგულირებლის, ეფექტური მართვის მექანიზმების და პროფესიულად მომზადებული კადრების გარეშე, ძლიერი მოთამაშეების პირისპირ და რთულ პოლიტიკურ გარემოში, გვინდა განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის და მოქალაქეების ჩვენთვის უცნობი გრძელვადიანი და მოკლევადიანი ენერგეტიკული ინტერესები. თუ რამდენად პერსპექტიულია ეს ამოცანა, მკითხველი თვითონ განსჯის.

• რა შედეგები მივიღეთ?

ზემოთ ჩამოთვლილმა სისტემურმა ხარვეზებმა უკვე მოიტანა მრავალი უარყოფითი შედეგი:

შეფერხებულია ქვეყანაში სათანადო რესურსების და გამოცდილების მქონე სტრატეგიული ინვესტორების შემოსვლა, რომლებიც როგორც წესი, ერიდებიან ბუნდოვან, არასტაბილურ გარემოში მუშაობას. შედეგად, ბოლო წლებში არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ახალი ჰიდროელექტროსადგური არ გაშვებულა ექსპლუატაციაში. ბევრი პროექტი დაიწყო, მაგრამ შეჩერდა ფინანსური, ტექნიკური თუ სხვა პრობლემების გამო. ელექტროენერჯის ნეტო

ექსპორტიდან ქვეყანა 2012 წელს ისევ ნეტო იმპორტზე გადავიდა, ამასთან, მოხმარების ზრდის ფონზე, უკვე საკმაოდ გართულებულია ზამთარში ელექტროენერგიით მომარაგება.

შეჩერებულია ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების განვითარება და იზრდება გარე დამოკიდებულება: ტრადიციული (ნავთობისა და გაზის) და არატრადიციული (ფიქალის გაზი და ნავთობი) წიაღისეული რესურსების ძიების და მოპოვების არასათანადო ხელშეწყობის გამო, ექსპერტების შეფასებით, თანამედროვე საძიებო ტექნოლოგიებით გამოუკვლეველია სალიცენზიო ტერიტორიების თითქმის 80%. ქვეყნის ნახშირის მთელი მარაგი ერთი კერძო კომპანიის საკუთრებაშია და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ნიშნები არ ჩანს. უგულვებელყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიებით მზის, ქარის, ბიომასის, გეოთერმული ენერგეტიკული რესურსების გამოყენება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით მოშორებულ რეგიონებში.

დაბალია ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე. ელექტროენერგიით უზრუნველყოფის სტაბილურობა ზამთარში დიდწილად მეზობელ ქვეყნებზეა დამოკიდებული. არ განხორციელდა ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობის პროექტი. ამის გამო შაჰდენიზის საბადოდან მოწოდებული გაზის სეზონური დაბალანსების ფუნქციის კომპანია „სოკარისთვის“ გადაეცა და სატრანზიტო ხელშეკრულებიდან სრულ სარგებელს ვერ ვიღებთ. არ არის ჩამოყალიბებული საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში მოქმედების გეგმები და მექანიზმები, რაც ქვეყანას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თუ ის სერიოზულად ეპყრობა სახელმწიფო უსაფრთხოებას.

- **რაშია გამოსავალი?**

რა თქმა უნდა, თვალი არ უნდა დავხუჭოთ ენერგეტიკის წარმატებებზე: ჰიდროსადგურების რეაბილიტაციასა და უწყვეტ ენერგომარაგებაზე, თურქეთთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის მშენებლობასა და ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერებაზე, გაზსადენების გაყვანასა და რეგიონების გაზიფიკაციაზე, ტარიფების სტაბილურობაზე, ჰიდროსადგურების მშენებლობის დაწყებაზე. *მაგრამ ამავე დროს უნდა დავინტერესდეთ თუ რამდენად მყარი და სტაბილურია შედეგი, რა კომპრომისებით არის მიღწეული, რა წილია მასში წარმატებული პიარისა და ხომ არ ვიხდით ზედმეტს, ფულით ან სუვერენიტეტით და სამომავლო პოლიტიკური პერსპექტივებით?*

ენერგეტიკის აღწერილი სისტემური პრობლემები დიდწილად ჩვენი საზოგადოების, მრავალწლიანი არხეინი და ინფანტილური დამოკიდებულების შედეგია, როდესაც ის არ ინტერესდება რეალური გრძელვადიანი განვითარებით და მხოლოდ მოკლევადიანი, ნამდვილი თუ პიარული მიღწევებით კმაყოფილდება.

იმისათვის რომ ავიცილოთ სახელმწიფოებრიობის საფრთხეები, რასაც სექტორის დღევანდელი მდგომარეობა გვიქადის, უნდა გამოვიყენოთ დარგის ახალი ხელმძღვანელობის გახსნილობა და რეფორმირების მიმართულებით, დონორების

დახმარებით გადადგმული პირველი ნაბიჯები, მოვითხოვთ მეტი გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი და სისტემური გარდაქმნები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქვეყნის და მოქალაქეების ინტერესები დაიცვან არა პოლიტიკოსთა კერძო გადაწყვეტილებებმა და პირადმა ურთიერთობებმა, არამედ საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე კანონებმა, წესებმა, სტრატეგიებმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა. ეს კი მოითხოვს როგორც სექტორის ასევე თვით სამინისტროს ძირეული რეფორმირების და მოდერნიზების პროგრამის განხორციელებას.

რეფორმა ენერჯეტიკაში დღეს ყველაზე მომგებიანი საინვესტიციო პროექტია, რასაც ბევრად მეტი სარგებელის მოტანა შეუძლია ვიდრე ნებისმიერ ინფრასტრუქტურულ პროექტს. სწორი სისტემები აგვაცილებს მოსალოდნელ პრობლემებს, შექმნის სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტიას, ხელს შეუწყობს ინვესტიციებს და დაჩქარებულ განვითარებას. ეს არის დარგის და საზოგადოების ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და პროფესიული განვითარების ახალ საფეხურზე ასვლის შესაძლებლობა რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

WEG

www.weg.ge